ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5909353

ნომერი: AR1891678

თარიღი : 13.04.2022

გაცემის თარიღი : 20.04.2022

გაცნობის თარიღი : 20.04.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მუხიანის საცხოვრებელი რაიონი , საზოგადოებრივი ცენტრის ზონა , (ნაკვეთი N3/1) ; ქალაქი თბილისი , მუხიანის საცხოვრებელი რაიონი , საზოგადოებრივი ცენტრის ზონა , (ნაკვეთი N3/21);

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ შარვაძე პ/ნ 41001001312
- თბილისი საირმის ქ. N 11 ბ. 18

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ,,სან პეტროლიუმ ჯორჯია"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404391136
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ქრეიგ სთივენ ქრამერი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01791047449

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 4854341
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 10.02.2020

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1.მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. -> .მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი.:

- ვინაიდან საპროექტო სამუშაოებით გათვალისწინებულია არსებული შენობების დემონტაჟი, საჭირო წარმოდგენილ იქნას სადემონტაჟო სამუშაოების კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და შესაბამისი დემონტაჟის ორგანიზების სრფულყოფილი პროექტი.
- იმ შემთხვევაში თუ სადემონტაჟო ობიექტები არ არის კანონიერი, განგიმარტავთ, რომ სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს ნებართვა უნებართვოდ მოწყობილი შენობა-ნაგებობების დემონტაჟის თაობაზე, აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ მითითების გაცემით. ასეთ შემთხვევაში საჭიროა კალენდარული გრაფიკიდან ამოღებულ იქნას სადემონტაჟო სამუშაოები.

2. "მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი:

- გადახდილ იქნას მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი საპროექტო კ-2 კოეფიციენტის შესაბამისად 1 კვ.მ-ზე 4 ლარის ოდენობით.
- ასევე საპროექტო ავზებისათვის გადახდილ იქნას მოსაკრებელი კლასის შესაბამისად: თხევადი ნივთიერების საცავი/ტერმინალი ავზების ჯამური მოცულობით 100 კუბ.მ -მდე განეკუთვნება მეორე კლასის ობიექტს. მოსაკრებელი შეადგენს II კლასის ობიექტებისთვის - 50 ლარს.

3. "ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში:
წარმოდგენილი იქნას მიწის ნაკვეთის იპოთეკარის თანხმობა, რომელიც უნდა გაიცეს სს "საქართველოს ბანკის" რეგისტრირებული წესდების შესაბამისად უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ან თან ახლდეს ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.